



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/70

17 / იანვარი / 2019 წ.



KA000018987545119

შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი-1913“-ის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოსცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1.

1. შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი-1913“-ის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსცხადდეს კონკურსი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://poti.gov.ge>) 2019 წლის 17 იანვრიდან.
2. დამტკიცდეს საკონკურსო განცხადება შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს კონკურსს შებლდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი კოლხეთი-1913“ დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.

სამუშაო აღწერილობა - დასაქმებული ვალდებულია: მასზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს პირნათლად, კეთილსინდისიერად, მოქმედი სამართლებრივი აქტების დაცვით, დაიცვას ის მოთხოვნები, რომლებიც მას და მის თანამდებობას შეეხება.

კომპეტენციები და უნარები:

1. ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
2. საზოგადოების წარმომადგენლობის უნარი;
3. სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;
4. ცვლილებების/ სიახლეების ინიცირებისა და მართვის უნარი;
5. პროექტების მართვის უნარი;
6. თათბირებისა და შეხვედრების წარმართვის უნარი;
7. დასაქმებულების პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივირების უნარი;
8. გუნდის განვითარების უნარი;
9. პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები - სასურველია კანდიდატს ქონდეს სპორტის სფეროში მუშაობის გამოცდილება.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ ფოსტაზე - poti.info@gmail.com უნდა წარადგინოს განაცხადი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ქსეროასლი, სამოტივაციო წერილი (არსებობის შემთხვევაში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი).

კონკურსში განცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 22 იანვრის 18 საათი.


კონკურსი ჩატარდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერთან გასაუბრების ფორმით 2019 წლის 23 იანვარს 12 საათზე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12, მესამე სართული).

- საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ღონისძიებები გაატაროს (მათ შორის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://poti.gov.ge>) საკონკურსო განცხადების ატვირთვა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების განყოფილებამ და საინფორმაციო საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

გონა კურდღელია